სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №1-11095ნ

საქართველო

ორიათასშვიდი წლის თექვსმეტ იელისს, **ნ. გინტურს**, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომ სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47, მომმართეს **ბაჭ ჭელიძემ და ნინო ეზიკაშვილმა**. მათ მოითხოვეს ამხანაგობის დამფუძნებელი სანოტარო შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ბადრი ჭელიძემ** (დაბადებული 01.04.1977წ. ლენტეხში, მცხოვრები თბილისში, დადიანის №43-ში, პირადობის მოწმობა № ბ 0438986, გაცემული 09.03.2004წ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის მმსს მე-9 განყოფილების მიერ, პირადი №55001002403) და **ნინო ეზიკაშვილ** (დაბადებული 1947 წლის 26.05. თბილისში, მცხოვრები თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. 54ა, ბ 6-ში, პირადობის მოწმობა № დ0582980, გაცემული 02.12.2004წ. თბილისის ვაკის სრმ სამსახურის მიერ, პირადი №01008004685) მომმართეს. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მათი ნება გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე შემდეგი სანოტარო აქტი:

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ექვსას სამოცდაორი (662) ლარი სამოცდათხუთმეტი (75) თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს) 22 მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. ასცხრამეტი (119) ლარი და ოცდაცხრა (29) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245 მუხლის პირველი ნაწილისა, სულ გადახდილ შვიდასოთხმოცდაორი (782) ლარი და ოთხი (04) თეთრი.

ნოტარიუსი: /ნ. გინტური/

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ამირანი 2007"-ის

დამფუძებელ - წევრთა საერთო კრების

ოქმი

ქ. თბილისი 20 მარტი 2012 წელი

2012 წლის 12 მარტს ქალაქ თბილისში, ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო ბიუროში შედგა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ამირანი 2007"-ის წევრთა კრება. კრებას ესწრებოდნენ ამხანაგობის დამფუძნებლები ლევან ფრანგიშვილი, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის ნინო ეზიკაშვილის წარმომადგენელი მამუკა კაკუშაძე (პ/ნ 41001002942), ლალი ზიბზიბაძე, გივი გოგრიჭიანი და ამხანაგობის თავმჯდომარე დავით ნიშნიანიძე.

კრების თავმჯდომარე: ლევან ფრანგიშვილი;

კრების მდივანი: ლალი ზიბზიბაძე.

დღის წესრიგი: 1)ცვლილებები ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ამირანი 2007"-ის (შემდგომში ამხანაგობა) დაფუძნების შესახებ 2007 წლის 16 ივლისის შეთანხმებაში.

2)ამხანაგობის თანათავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგის საკითხებზე ინფორმაცია გააკეთა ამხანაგობის თავმჯდომარემ დავით ნიშნიანიძემ. მან კრებას მოახსენა იმის შესახებ, რომ ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე, ამხანაგობის დამფუძნებლებს სურვილი აქვთ ამხანაგობის საქმიანობას თავმჯდომარესთან ერთად გაუძღვეს თანათავმჯდომარე, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ცვლილებები შევიდეს ამხანაგობის დაფუძნების შესახებ 2007 წლის 16 ივლისის შეთანხმებაში და თანათავმჯდომარის არჩევა.

ამხანაგობის დამფუძნებელ – წევრთა საერთო კრებამ ერთხმად ღია კენჭისყრით დაადგინა:
1) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ამირანი 2007"-ის დაფუძნების შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლში შევიდეს ცვლილებები და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. *ამხანაგობის ხელმძღვანელობა და მართვა*

5.1. ამხანაგობის მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება, ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე.
5.2. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვებიან ერთობლივად ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე; დამფუძნებლებმა თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ნიშნიანიძე, ხოლო თანათავმჯდომარედ – გივი გოგრიჭიანი.
5.3. ამხანაგობის თავმჯდომარე მხოლოდ თანათავმჯდომარესთან ერთად წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობასა და სასამართლოში, დებს გარიგებებს ამხანაგობის სახელით; ამასთანავე ამხანაგობის თავმჯდომარე მხოლოდ თანათავმჯდომარესთან ერთად დებს შემდეგ გარიგებებს:
ა). ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა;
ბ). ექსპლოატაციაში ჯერ კიდევ მიუღებელ საცხოვრებელ სახლში ფართებზე უფლებების გასხვისება;
გ). კრედიტების და სესხების აღება და ვალდებულებებით დატვირთვა;
დ). მესამე პირთათვის თავისი, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარის/თანათავმჯდომარის უფლებამოსილების გადანდობა (მინდობილობის გაცემა);
ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ამხანაგობის თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს თანხმობას აძლევენ 5.3. პუნქტში ჩამოთვლილი ქმედებების ერთობლივად განხორციელებაზე.
5.3.1. ამხანაგობის თავმჯდომარეს მხოლოდ თანათავმჯდომარესთან ერთად უფლება აქვს გაასხვისოს ამხანაგობის წილი სხვა პირებზე და შეიყვანოს ისინი ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრებად, ისე რომ, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების უფლებები არ შეილახოს. ახალ წევრთა შემოყვანა არ უნდა იწვევდეს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრების სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.
5.3.2. ამხანაგობის თავმჯდომარე თანათავმჯდომარესთან ერთად პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.
5.3.3. ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვნენ ამხანაგობის საქმიანობას. ისინი პასუხს აგებენ ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

5.3.4. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე ვალდებულნი არიან მიუთითონ, რომ ისინი მოქმედებენ ამხანაგობის სახელით.

5.3.5. ამხანაგობის თავმჯდომარეს და თანათავმჯდომარეს უფლება აქვთ უარი თქვან ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მათ წერილობით უნდა აცნობონ ამხანაგობის წევრებს. ასეთ შემთხვევაში მათ მიერ განხორციელებული შესრულება რჩება ამხანაგობას.

5.3.6. მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ ამხანაგობის ხელმძღვანელი (თავმჯდომარე) და თანათავმჯდომარე ვალდებულნი არიან ბინების და ფართების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინონ საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის და ფართის მომავალი მესაკუთრე."

2) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ამირანი 2007"-ის დაფუძნების შესახებ შეთანხმების სხვა მუხლები და პუნქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე ცვლილებებს დარჩეს უცვლელი.

შეკრულია და დანომრილია
ფურცლად

ნოტარიუსი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120277933
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.03.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნუნუ გინტური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2935425
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	08780427559412

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 8 3 ჯ - 11 4 07 2011 წ.

დადგენილება №001095
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

04.07.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 31 მაისის №001095 მითითება და 13 ივნისის №001095 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "კახა-ჯგუფი"-ს (მის.: ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. №3. ნაკვეთი №37/022) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. №3, ნაკვეთ №37/022-ში შ.პ.ს. "კახა-ჯგუფი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.ა. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/158 20.02.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, -3.16 ნიშნულზე "5-6" მონაკვეთში და "ე-ე" ღერძზე დამატებულია სამი სვეტი. "3-4", "7-8" და "დ-ე" მონაკვეთებში ±0.00 ნიშნულზე შესასვლელი კიბის საფეხურების ნაცვლად დასხმულია ჟილა. "6-5", "3-2" და "დ-გ" მონაკვეთებში არსებული გარე კიბეების ბაქნები პროექტში ნაჩვენები ოვალურის ნაცვლად მოწყობილია კუთხოვანი ფორმის. "8-9" მონაკვეთში "ზ-ზ" ღერძზე გაუქმებულია სადარბაზოს ფანჯარა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 31 მაისს შედგენილი იქნა მითითება №001095 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 2 ივნისს), რომლითაც განესაზღვრა 10 (ათი) დღიანი ვადა ობიექტის პრობლემებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 13 ივნისს "ტექნიკური საფრთხის კონტრ[illegible] საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამის[illegible] სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001095 (მ[illegible]

განთავსება ობიექტის გასაღებ
ქ.ა 04 07 2011წ

TBILISI CITY HALL

ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 13 ივნისს), რომელშიც დაფიქსირდა შ.პ.ს. "კაზა-ჯგუფი"-ს მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 27 ივნისს და 4 ივლისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. "კაზა-ჯგუფი"-ს წარმომადგენელი.

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №08-16/6452 24.06.2011წ. წერილით მოცემული მშენებლობა მიეკუთვნება IV კლასს.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის გ. გეგელაშვილის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "კაზა-ჯგუფი"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. №3, ნაკვეთ №37/022-ში შ.პ.ს. "კაზა-ჯგუფი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/158 20.02.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, -3.10 ნიშნულზე "5-6" მონაკვეთში და "ე-ე" ღერძზე დამატებულია სამი სვეტი. "3-4", "7-8" და "დ-ე" მონაკვეთებში ±0.00 ნიშნულზე შესასვლელი კიბის საფეხურების ნაცვლად დასხმულია ფილა. "6-5", "3-2" და "დ-გ" მონაკვეთებში არსებული გარე კიბეების ბაქნები პროექტში ნაჩვენები ოვალურის ნაცვლად მოწყობილია კუთხოვანი ფორმის. "8-9" მონაკვეთში "ზ-ზ" ღერძზე გაუქმებულია სადარბაზოს ფანჯარა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის 14-ე პუნქტით, მე-13 მუხლის 17 პუნქტით, მე-13 მუხლის 18-ე პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23 მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "კაზა-ჯგუფი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "კაზა-ჯგუფი"-ს დაეკისროს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების ბანკი: დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, **საბიუჯეტო [illegible] შემოსავლის [illegible] სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** [illegible] სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "კახა-ჯგუფი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

LB	ლიბერთი ბანკი	კლიენტის კოდი	გადახდის ქვითარი 0		27.02.2012
გადამხდელი:	დავით ნიშნიანიძე				ბ.ა.
ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია სულ :	4002.80	გადარიცხვის საკომისიო:	2.80	GEL	მოლარე

ლიბერთი ბანკი თბილისი ვაკე-საბურთალო № 281 LBRTGE22

LB

ლიბერთი ბანკი 1

საგადახდო დავალება # 5035331563

27.02.2012

გადამხდელის დასახელება:	დავით ნიშნიანიძე		
		გადამხდელის ანგარიში	GE22LB0080004501870303
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი	LBRTGE22
საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე			
დასახელება:	დავით ნიშნიანიძე		
საიდენტიფიკაციო კოდი:	41001003782		
მიმღები დასახელება:	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(არასაგად. შემოს.)თბილისი		
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:	300773263		
მიმღების ბანკი/ხაზინა	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	ბანკის კოდი	TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:			
გადახდის დანიშნულება:	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიან(დადგენილება W 001095 04.07.2011წ;ძირი ჯარიმა შპს კა ზა ჯგუფი)		
დამატებითი ინფორმაცია:			
ხელმოწერა:		ბ.ა.	

LB-01915574727
GEL
4000.00
თანხა სიტყვიერად
ოთხიათასი ლარი
ბანკის აღნიშვნები
შესრულების თარიღი
27.02.2012
ბანკში შემოსვლის თარიღი:
27.02.2012
ხელმოწერა:
შტამპის ადგილი

ლიბერთი ბანკი თბილისი ვაკე-საბურთალო № LBRTGE22